The European Union for Georgia
EU4Justice

IDFI
Institute for Development of Freedom of Information

CRRC GEORGIA CAUCASUS RESEARCH RESOURCE CENTER

Studio Monitor

პრესრელიზი

საქართველო წინ მიიწევს პროკურატურის რეფორმის გატარების თვალსაზრისით

თბილისი, 1 მაისი 2018 – **ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ახალი ორწლიანი პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს პროკურატურის დამოუკიდებლობისა და შესაძლებლობების გაძლიერებას; პროკურატურის ანგარიშვალდებულების გაზრდა და სახელმწიფოს, სამოქალაქო სექტორს, მედიასა და საზოგადოებას შორის სისტემაში მიმდინარე ძირითად რეფორმებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლის პრაქტიკის გაუმჯობესებას.**

პროექტი **"პროკურატურის დამოუკიდებლობის ხელშეწყობა მონიტორინგისა და ჩართულობის გზით" (PrIME)** ხორციელდება **ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის** (IDFI) მიერ **კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან** (CRRC) და **სტუდია მონიტორთან** თანამშრომლობით.

პროექტის გახსნით ღონისძიებაზე მთავრობის, პარლამენტის, სამოქალაქო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ მიმდინარე რეფორმის ფარგლებში საქართველოს პროკურატურაში არსებულ სიახლეებსა და PrIME პროექტის მიზნებს.

„საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა პროკურატურის ყველა სექტორში რეფორმების შედეგების გაუმჯობესების კუთხით. მომავალ წლებში, რეფორმების პაკეტი უფრო მეტ ქმედებებს მოითხოვს, რომ გაუმჯობესდეს პროკურატურის დამოუკიდებლობისა და კეთილსინდისიერების ხარისხი, გაძლიერდნენ არამენეჯერულ პოზიციებზე მყოფი პროკურორები და უფრო მეტად ჩაერთონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამასთანავე, უნდა ამაღლდეს ნდობა და საზოგადოების ცნობიერება საქართველოს მართლმსაჯულების სისტემასთან მიმართებაში", – განაცხადა მთავარი პროკურორის მოადგილემ გიორგი გოგაძემ.

„ევროკავშირი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ძალისხმევას, შეასრულოს საერთაშორისო, მათ შორის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები: გააძლიეროს კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების დაცვა. მოხარულები ვართ, რომ სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, სახელმწიფო ინსტიტუციები ასე აქტიურად არიან ჩართულები PrIME პროექტის განხორციელებაში",–აღნიშნა საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის კომუნიკაციების ატაშემ მიკოლაი ბეკასიაკმა.

პროექტი ითვალისწინებს მრავალმხრივ მიდგომას, რომლის ფარგლებშიც IDFI და მისი პარტნიორი ორგანიზაციები იმუშავებენ ოთხი მიმართულებით: 1. მონიტორინგი; 2. ჟურნალისტური გამოძიება; 3. შესაძლებლობის გაძლიერება საქართველოს საპროკურორო და საგამოძიებო სისტემებში მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად; და 4. ცნობიერების ამაღლება ქალთა წინააღმდეგ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულების შესახებ. პროექტის სრული ბიუჯეტი შეადგენს 333,321.64 ევროს. პროექტი 26 თვიანია და 2018-2020 წლებში განხორციელდება.

მედიასთან საკონტაქტო ინფორმაცია:

- **თამარ მიქელაძე, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში**, +995 32 2943763, tamriko.mikadze@eeas.europa.eu
- **მერი მახარაშვილი,** + 995 599 500 137, m.makharashvili@idfi.ge